



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დამატებითი (minor) პროგრამა

საერთაშორისო ურთიერთობები

1. პროგრამის სტრუქტურა

№	კურსი	სკ	ლ./პრ./ს /ლაბ.	კრედიტთა რაოდენობა	სემესტრები						
					III	IV	V	VI	VII	VIII	
1	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	3	2.1.0.0	5	5						
2	საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი ცნებები	3	2.1.0.0	5	5						
3	საერთაშორისო სამართალი	3	2.1.0.0	5		5					
4	კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში	3	2.1.0.0	5		5					
5	ნაციონალიზმის ისტორია და თეორია	3	2.1.0.0	5			5				
6	საქართველოს საგარეო პოლიტიკა	3	2.1.0.0	5			5				
7	ევროკავშირი, ნატო და საერთაშორისო უსაფრთხოება	3	2.1.0.0	5				5			
8	საერთაშორისო ურთიერთობებისა და საგარეო პოლიტიკის ისტორია მე-20 ს	3	2.1.0.0	5				5			
9	საერთაშორისო კონფლიქტები	3	2.1.0.0	5					5		
10	დიპლომატიური პროტოკოლი	3	2.1.0.0	5					5		
11	გეოპოლიტიკა	3	2.1.0.0	5							5
12	იდეოლოგიები საერთაშორისო ურთიერთობებში	3	2.1.0.0	5							5
	სულ			60	10	10	10	10	10		10

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში;
 ლ/პ/ს/ლაბ. - ლექცია/პრაქტიკული/სემინარი/ლაბორატორიული.

2. პროგრამით გათვალისწინებული კურსების მოკლე ანოტაციები.

კურსის კოდი: SWB0480

საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ინტერდისციპლინარული ხასიათის ეს სალექციო კურსი მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა საერთაშორისო ურთიერთობის კატეგორიულ-ცნებითი აპარატი, საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა რეალიზმი და მისი განვითარების ეტაპები, საერთაშორისო სისტემის ანარქიული ხასიათი, ეროვნული ინტერესები, კავშირები და კოალიციები, ძალთა წონასწორობის კონცეფცია, დემოკრატიული მშვიდობის თეორია, პატარა სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობებში, საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა და სხვა. სალექციო კურსი იძლევა მსოფლიო პოლიტიკის კონკრეტულ მონაცემებში წვდომის და დამოუკიდებელი ანალიზისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

კურსის კოდი: SWB0420

საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი ცნებები (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საერთაშორისო ურთიერთობები სოციალურ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სისტემაში; საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი მცნებები, როგორც სამეცნიერო დისციპლინა; საერთაშორისო ურთიერთობები: უკეთესი თეორიის ძიება; „საერთაშორისო ურთიერთობები“, „საერთაშორისო პოლიტიკის“ და „მსოფლიო პოლიტიკის“ კატეგორიათა თანაფარდობა; კრიტიკული თეორია - საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი მცნება; ნავთობის დიპლომატია – თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მცნება; მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი; კონსტრუქტივიზმი; ბიჰევიორიზმი; პლურალიზმი; ფემინიზმი – საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო რეჟიმი და ციკლები; პოლიტიკური რეალიზმი – თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში; პოლიტიკური იდეალიზმი – საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში; კონფლიქტის ცნება საერთაშორისო ურთიერთობებში; ძალთა ბალანსის ცნება; ეროვნული ინტერესი – სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი; რეგიონალიზმი და სუპარატივიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში; ტერორიზმი, როგორც თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ ძირითადი ცნება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი.

კურსის კოდი: SLB0630

საერთაშორისო სამართალი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საერთაშორისო სამართლის ცნება, წყაროები; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართალის თანაფარდობა; საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები; საერთაშორისო სამართლის სუბიექტი; საერთაშორისო სახელმწიფოებრივი სამართალი; საერთაშორისო ორგანიზაციები; პასუხისმგებლობა საერთაშორისო სამართალში; დიპლომატიური და საკონსულო სამართალი; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი; საერთაშორისო დანაშაულის ცნება; ტერიტორია და საერთაშორისო სამართალი; საერთაშორისო საზღვაო სამართალი; საჰაერო და კოსმოსური სივრცის სამართალი; საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის საშუალებანი; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი.

კურსის კოდი: SWB0630

საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდოლოგია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საერთაშორისო ურთიერთობების წარმოშობის ისტორია; საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდოლოგია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა; საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდოლოგიის მცნება და კრიტერიუმები, საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდოლოგიის ამერიკული, ბრიტანული და ფრანგული სკოლები; რ.

არონი – საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი; პროგნოზული მეთოდი; დელფიური მეთოდი და სცენარის შედგენა; ექსპერიმენტის მეთოდი კვლევის მეთოდოლოგიაში; მოდელირება; გადაწყვეტილების მიღების პროცესის ანალიზი; საერთაშორისო ურთიერთობებში მეთოდის პრობლემის მნიშვნელობა; საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდოლოგიაში სოციოლოგიის მნიშვნელობა; სიტუაციის ანალიზი და დაკვირვება; პოლიტიკური სოციოლოგია; დოკუმენტების მნიშვნელობა - კვლევის მეთოდოლოგიის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი; შედარების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში; ექსპლიკატიური მეთოდი; კონვენტ და ივენტ ანალიზი; საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის მეთოდიკა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი.

კურსის კოდი: SWB0200

ნაციონალიზმის ისტორია და თეორია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ძირითადი ცნებები: ერი, სახელმწიფო, ერი-სახელმწიფო; ნაციონალიზმის არსი და ტიპოლოგია; ნაციონალიზმის თეორიები; ნაციონალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები; გლობალიზაცია – დეფინიცია და არსი; გლობალიზაცია და სახელმწიფო; ეკონომიკური გლობალიზაცია; გლობალიზაცია, საერთაშორისო სისტემა და მსოფლიო წესრიგი; ნაციონალიზმი გლობალიზაციის ეპოქაში; ნაციონალიზმი და გლობალიზაცია; მომავლის პერსპექტივები; ნაციონალიზმი და ეთნოკონფლიქტები თანამედროვე საქართველოში.

კურსის კოდი: SHB0360

საქართველოს საგარეო პოლიტიკა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართული პოლიტიკური სამყარო საერთაშორისო არენაზე უძველესი დროიდან ახ. წ. IV ს–მდე; ქართლისა და ეგრისის სამეფოების საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია IV-VII სს; ქართული პოლიტიკური სამყარო საერთაშორისო ურთიერთობებში. VII-X სს; ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა. ქართული დიპლომატია XI-XII სს; საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა და დიპლომატია XIII-XV სს; ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XVI-VIII სს; დიპლომატია და პოლიტიკურ-დიპლომატიური აზრი XIX ს. საქართველოში. ქართული დიპლომატია XX სს.

კურსის კოდი: SWB0090

ევროკავშირი, ნატო და საერთაშორისო უსაფრთხოება (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ევროკავშირის შექმნის ისტორია, შუმანი-მონე და ფოლადის პაქტი, ევროკავშირის გაფართოებები, საკანონმდებლო ბაზა, ევროკავშირის ინსტიტუციონალური მოწყობა, ევროკომისია, ევროპარლამენტი, ევროპის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, მართლმსაჯულება და საშინაო საქმეები.

კურსის კოდი: SWB0490

საერთაშორისო ურთიერთ. და საგარეო პოლიტიკის ისტორია მე-20 საუკუნეში (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: დიპლომატიის ისტორია 1 მსოფლიო ომის შემდეგ, ვერსალ-ვაშინგტონის სისტემა, საერთაშორისო ურთიერთობები ომებს შორის პერიოდში, საერთაშორისო ურთიერთობები მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ, ცივი ომი, საბჭოთა სისტემის დაშლა.

კურსის კოდი: SWB0150

საერთაშორისო კონფლიქტები (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საერთაშორისო კონფლიქტები და მათი მართვა, საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი როლი საერთაშორისო კონფლიქტების დარეგულირებაში, ტერორიზმი და მათი ზეგავლენა კონფლიქტების დარეგულირებაზე. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი, მაქოს

დიპლომატია და მისი როლი ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირებაზე. ტაივანის კონფლიქტი, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: საერთაშორისო სამართალი,

კურსის კოდი: SWB0070

დიპლომატიური პროტოკოლი (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ეტიკეტი და პროტოკოლი, მისი მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში, დიპლომატიური რანგები, ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, სტუმრის მიღება, ოფიციალური ვიზის, სავიზიტო ბარათი, დიპლომატიური მიმოწერა სუბორდინაცია დიპლომატიურ პროტოკოლში

კურსის კოდი: SWB0060

გეოპოლიტიკა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: გეოპოლიტიკა, როგორც სამეცნიერო დისციპლინა; „გეოპოლიტიკის“ დეფინიცია; ტელუკოკრატია (სახმელეთო ძლიერება) და ტალასოკრატია (საზღვაო ძლიერება); გეოპოლიტიკური ტელეოლოგია; გეოპოლიტიკა, როგორც ბედისწერა; გეოპოლიტიკის მამა-დამაარსებლები; ფ. რატცლერი – სახელმწიფო, როგორც სივრცული ორგანიზმი; რ. ჩელენი და ფ. ნაუმანი „შუა ევროპა“; ეკოპოლიტიკა (სახელმწიფოს ეკონომიკური ძალის შესწავლა), დემოპოლიტიკა (სახელმწიფოს დემოგრაფიული მდგომარეობის შესწავლა), სოციოპოლიტიკა (სახელმწიფოს სოციოლოგიური ასპექტის შესწავლა); 3. მაკინდერი: მეცნიერი და პოლიტიკოსი; 3. მაკინდერის თეორია ისტორიის გეოგრაფიული ღერძის შესახებ; გეოპოლიტიკის სამი პერიოდის შესახებ; ა. მეჰენი – „საზღვაო ძლიერება“; ვიდალ დე ბლანში „საფრანგეთი გერმანიის წინააღმდეგ“; ნ. სპიკმენი „მაკინდერის რევიზია, რიმლანდ-ის აუცილებლობა“; კ. ჰაუსჰოფერო „კონტინენტალური ბლოკი“; 3. სავიცი „ევრაზია შუა მიწა“; გეოპოლიტიკა, როგორც ნაციონალური პოლიტიკის ინსტრუმენტი“; თანამედროვე გეოპოლიტიკური სკოლები და თეორიები; თანამედროვე ატლანტიზმი; აეროკრატია და ეთეროკრატია; ჰატინგტონის თეორია „ცივილიზაციების დაჯახების“ შესახებ; მონდიალიზმი; ფ. ფუკუიამა „ისტორიის დასასრული; საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსის ათვისება: საერთაშორისო ურთიერთობების თეორია.

კურსის კოდი: SWB0080

იდეოლოგიები საერთაშორისო ურთიერთობებში (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: იდეოლოგიები და მათი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე, ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი, სოციალიზმი, ნაციონალიზმი, ფაშიზმი, ფემინიზმი, რელიგიური ფუნდამენტალიზმი, ანარქიზმი, ეკოლოგიზმი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: საერთაშორისო ურთიერთობების თეორია.